საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004018

„26" აგვისტო 2024 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I ჩს N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს "სტანდარტ ოილი" (ს/კ 416339607)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
იურ. მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა N6ა მ/ზ; დირექტორი
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის N171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N004018 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ №004018 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

ნაწილის შესაბამისად

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ოკრიბის მთავარი - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნელი კოხაურიძე

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოხაურიძე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ფოსტით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2024 წლის 26 აგვისტოს №004018 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 26 ივლისის №21/6042 წერილის საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, 2023 წლის 10 აგვისტოს, განხორციელდა ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №6(ა)-ში განთავსებული, შპს „სტანდარტ ცემენტი"-ს (ს/კ 416339607) კუთვნილი ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის** თანახმად, კომპანიას, სააგენტოში შესათანხმებლად არ წარმოუდგენია მონიტორინგის გეგმა და საქმიანობას ახორციელებდა სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის გარეშე;
2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** მოთხოვნის შესრულების მიზნით, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე, კვარტალში ერთხელ (მავნე ნივთიერებებზე - მტვერი და აზოტის დიოქსიდი (NO_2), ატმოსფერულ ჰაერში არ აქვს ჩატარებული ინსტრუმენტული მონიტორინგი;
3. კომპანიას, სამინისტროში შესათანხმებლად არ წარმოუდგენია, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტით** გათვალისწინებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვას არ ახორციელებს ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების და მოთხოვნების შესაბამისად:
4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტის** თანახმად, ექსპლუატაციის პირველი წლის განმავლობაში, კვარტალში ერთხელ, არ აქვს ჩატარებული საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ და უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების მითითებით), ინსტრუმენტული მეთოდით, ხმაურის მონიტორინგი;
5. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-10 პუნქტის** შესაბამისად, ექსპლუატაციის ეტაპზე არ უზრუნველყოფს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობაზე მუდმივ მონიტორინგს;

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2023 წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის პირველი

ნაწილისა და 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ № 084129 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2023 წლის 10 ნოემბრის №4-433-23 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილით და 84-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 5000 ლარი. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2024 წლის 26 აგვისტოს №004018 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2024 წლის 26 აგვისტოს №004018 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №6(ა)-ში განთავსებული, შპს „სტანდარტ ცემენტი“-ს (ს/კ 416339607) კუთვნილი ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „სტანდარტ ცემენტი“ ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს**, მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე მონიტორინგის სიხშირის, ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობისა (GIS კოორდინატები) და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. **შეთანხმების შემდგომ, მონიტორინგი განახორციელოს სააგენტოსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად** (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი**);
2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან, **III და IV კვარტალში,** საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებებზე - მტვერი და აზოტის დიოქსიდი (NO_2), უზრუნველყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის ჩატარება და 2024 წლის მონიტორინგის შედეგების **არაუგვიანეს 2025 წლის 15 იანვრის ჩათვლით,** განსახილველად სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა. შემდგომში, საქმიანობის განხორციელების პროცესში **მუდმივად, კვარტალში ერთხელ** უზრუნველყოს ხმაურის მონიტორინგი და შედეგები, წელიწადში ერთხელ განსახილველად წარადგინოს სააგენტოში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტი**);
3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში უზრუნველყოს** კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად და სამინისტროში შესათანხმებლად წარდგენა, ხოლო შეთანხმების შემდგომ, **ნარჩენების მართვა მუდმივად განახორციელოს** ნარჩენების მართვის კოდექსით და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების, ასევე შეთანხმებული გეგმის შესაბამისად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-8 პუნქტი**);

4. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრამდე** უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ და უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების მითითებით), ინსტრუმენტული მეთოდით, ხმაურის მონიტორინგის ჩატარება და მონიტორინგის შედეგების **არაუგვიანეს 2025 წლის 15 იანვრის ჩათვლით,** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარდგენა. შემდგომ საქმიანობის განხორციელების პროცესში, **წელიწადში ორჯერ** განახორციელოს, საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ და უახლოეს მოსახლესთან (მონიტორინგის წერტილების GIS კოორდინატების მითითებით), ინსტრუმენტული მეთოდით, ხმაურის მონიტორინგის ჩატარება და **შედეგების წელიწადში ერთხელ** სააგენტოში წარდგენა (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-9 პუნქტი**);

5. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომ მუდმივად** უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარებისა და აირმტვერდამჭერი სისტემის გამართულობის მონიტორინგი (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 18 აპრილის №171/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-10 პუნქტი**).